

სპორტის განვითარების ხელშეწყობის  
ღონისძიებები

რაგბის სახელმწიფო მხარდაჭერის

პ რ ო გ რ ა მ ა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის  
საქმეთა სამინისტრო

თბილისი  
2017

## **1. პროგრამის აღწერა და მიზანი**

2017 წელს ქართული რაგბის განვითარების პროგრამა კვლავ ინარჩუნებს თავის ძირითად მიზანს, რაც გულისხმობს ქვეყანაში რაგბის შემდგომ განვითარებას და საერთაშორისო ასპარეზზე ქართული რაგბის ღირსეულად წარმოჩენას.

დასახული მიზნის მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა მიმართულების საქმიანობით: ნაკრები გუნდების მზადებით და საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობით, თბილისში მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირის მასპინძლობით, საქართველოს ჩემპიონატის და თასის გათამაშების მაღალ დონეზე ჩატარებით, მაღალკვალიფიციური სპორტსმენებისა და სარაგბო სპეციალისტების მომზადებით, სპორტული ეკიპირების და ინვენტარის, საკვები დანამატებისა და სამედიცინო მომსახურების საჭიროებისამებრ უზრუნველყოფით და რაგბის პოპულარიზაციაზე მიმართული სხვადასხვა პროგრამების (ბავშვთა ფესტივალები, სასკოლო ლიგის გათამაშება, არასრულწლოვან დამნაშავეთა სოციალური ინტეგრაცია) განხორციელებით.

## **ამოცანები**

პროგრამის ფარგლებში საქართველოს რაგბის კავშირს დასახული აქვს შემდეგი ამოცანები:

### **1. საქართველოს ეროვნული ნაკრებების საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის მზადება და მონაწილეობის უზრუნველყოფა**

1.1. ეროვნული ნაკრები გუნდის მწვრთნელები (მათ შორის უცხოელები) - არსებულ მწვრთნელთა სახელფასო ფონდი, ნაკრების მწვრთნელთა შემადგენლობის საჭიროებისამებრ დაკომპლექტება ვიწრო პროფილის უცხოელი სპეციალისტებით (მაგ. მძლეოსნობა-ძალოსნობის მწვრთნელი, ფიზიოთერაპევტი, ფსიქოლოგი და ა.შ)

1.2. ნაკრები გუნდების მოთამაშეთა სამედიცინო უზრუნველყოფა

1.3 ტურნირების პერიოდში ნაკრების წევრების ხელფასების დაზღვევა

1.4. ნაკრები გუნდისთვის შეკრებების ორგანიზება, გუნდის ეკიპირებით, სავარჯიშო ინვენტარით და საკვები დანამატებით უზრუნველყოფა.

### **2. საერთაშორისო ტურნირები**

1.1. საქართველოში მაღალი დონის საერთაშორისო შეხვედრების მასპინძლობა.

1.2 საქართველოს „ა“ ნაკრები („მზარდი საქართველო“) გამართავს 2 საერთაშორისო შეხვედრას.

1.3. შეჯიბრებებში და საწვრთნელ შეკრებებში მონაწილე სპორტული დელეგაციების უზრუნველყოფა სათანადო სპეციალისტების მომსახურებით (მწვრთნელები, მენეჯერები, სამედიცინო პერსონალი, მსაჯები) და შესაბამისი პირობებით (საწვრთნელი ინფრასტრუქტურა, განთავსება, შიდა გადაადგილება, ვიდეოანალიზის პროგრამა და ა.შ.)

### **3. ეროვნული სარაგბო აკადემიის მუშაობის უზრუნველყოფა**

ეროვნული სარაგბო აკადემიის უმთავრესი მიზანია ეროვნული ნაკრებების უზრუნველყოფა მაღალი კლასის სპორტსმენებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენების გამოვლენისა და სათანადო სწავლების გზით. ამ მიზნების განსახორციელებლად ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობა დაევალა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს მილტონ ჰეიგს.

### **4. საქართველოს შიდა პირველობების მაღალ დონეზე ჩატარება**

შიდა პირველობების უზრუნველყოფა მომსახურე პერსონალით (მსაჯები, სამედიცინო პერსონალი, ვიდუო-ოპერატორები და ა.შ.) და სათამაშო ინფრასტრუქტურით; შიდა პირველობების თამაშების გაშუქება პირდაპირი სატელევიზიო ეთერისა და ტელერეპორტაჟების სახით.ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ფინასური დახმარება.(უმადლესი ლიგა,1 ლიგა )

**5. მასობრივი რაგბი, სოციალური პროგრამები**

სასკოლო ლიგის გათამაშება (ორგანიზატორთა ხელფასები, სამივლინებო თანხები, გუნდების ტრანსპორტირება და კვება, პრიზები); ბავშვთა ფესტივალების ორგანიზება (რაც მოიცავს მოთამაშეების კვებას, პრიზებს, მომსახურე პერსონალს, რიგ შემთხვევებში - შიდა გადაადგილებას); ქვიშის და თოვლის რაგბის ტურნირების ჩატარებას, არასრულწლოვანთა კოლონიებში რაგბის სწავლებას (მწვრთნელთა ანაზღაურება, მოთამაშეების ეკიპირება),სხვა სოციალური პროგრამები

**2. შესრულების ვადები**

დაწყება: 2017 წლის 1 იანვარი  
დასრულება : 2017 წლის 31 დეკემბერი

**3.პროგრამის ღირებულება**

პროგრამის მთლიანი ღირებულება შეადგენს 11 125 000 ლარს.

<b>№</b>	<b>დასახელება</b>
1	საქართველოს ეროვნული ნაკრების მონაწილეობა ევროპის ერთა თასის გათამაშებაში <ul style="list-style-type: none"> <li>- მატჩის წინა შეკრებები (სულ 5 შეკრება)</li> <li>- მატჩებში მონაწილეობა (სულ 5 მატჩი)</li> <li>- მატჩებთან დაკავშირებული საორგანიზაციო ხარჯები</li> </ul>
2	საქართველოს ეროვნული ნაკრების მონაწილეობა საზაფხულო ტესტ მატჩებზე <ul style="list-style-type: none"> <li>- ტურნეს წინა შეკრება</li> <li>- ტურნირთან დაკავშირებული ხარჯები(ტურნირის მონაწილეების განთავსება,კვება,ტრანსპორტირება და ა.შ.)</li> </ul>
3	„მზარდი საქართველოს“ საერთაშორისო შეხვედრები <ul style="list-style-type: none"> <li>- ჩამოსული გუნდების განთავსება</li> <li>- თამაშებთან დაკავშირებული საორგანიზაციო ხარჯები</li> <li>- სპორტული შეკრება</li> </ul>
4	ახალგაზრდული და რაგბი 7-ის (კაცთა და ქალთა) სანაკრებო ტურნირები <ul style="list-style-type: none"> <li>- ტურნირების წინა შეკრებები</li> <li>- მოსამზადებელი საერთაშორისო შეხვედრები(ტესტები)</li> <li>- ტურნირებში მონაწილეობა (მ.შ. ევროპის შვიდკაცა რაგბის სერია; IRB-ს მსოფლიო სერია;)</li> </ul>
5	ეროვნული, ახალგაზრდული, შვიდკაცა და ქალთა ნაკრებების მწვრთნელებისა და მომსახურე პერსონალის სახელფასო ფონდი
6	სანაკრებო მოთამაშეთა სამედიცინო და სახელფასო დაზღვევა
7	ეროვნული სარაგბო აკადემია <ul style="list-style-type: none"> <li>- მთავარი და ასისტენტ მწვრთნელების მწვრთნელის სახელფასო ფონდი</li> <li>- აკადემიის ეკიპირება, სვარჯიშო ინვენტარი.</li> </ul>

<b>№</b>	<b>დასახელება</b>
8	ვიდეოანალიზის პროგრამა <ul style="list-style-type: none"> <li>- ეროვნული ნაკრების ვიდეოანალიზის პროგრამითვის წლიური ლიცენზიის შექმნა</li> <li>- ახალგაზრდული ნაკრებების მომსახურების მიზნით ვიდეოანალიზის პროგრამის შექმნა (პროგრამული უზრუნველყოფა და წლიური ლიცენზია)</li> </ul>
9	ეროვნული პირველობების ჩატარება <ul style="list-style-type: none"> <li>- შიდა ჩემპიონატის მომსახურე პერსონალის სახელფასო ფონდი</li> <li>- სტადიონების იჯარა</li> <li>- შიდა ჩემპიონატის თამაშების გაშუქება სატელევიზიო ეთერით (პირდაპირი გადმოცემა, ვიდეორეპორტაჟები)</li> <li>- ბურთები</li> </ul>
10	სასკოლო ლიგის გათამაშება <ul style="list-style-type: none"> <li>- ტურნირის ორგანიზატორთა ხელფასები და სამივლინებო თანხები</li> <li>- გუნდების ტრანსპორტირება და კვება</li> <li>- პრიზები</li> <li>- ბურთები</li> </ul>
11	ბავშვთა ფესტივალების ორგანიზება <ul style="list-style-type: none"> <li>- ტურნირის მომსახურე პერსონალი</li> <li>- მონაწილე გუნდების კვება და შიდა გადაადგილება</li> <li>- პრიზები</li> <li>- ბურთები, კაპები</li> </ul>
12	არასრულწლოვანთა კოლონიებში რაგბის სწავლება <ul style="list-style-type: none"> <li>- მწვრთნელთა ანაზღაურება</li> <li>- მოთამაშეების ეკიპირება</li> <li>- ბურთები</li> </ul>
13	- საქართველოში დაგეგმილი 20 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის მზადებისა და მონაწილეობისათვის და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა.
14	- წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა
15	- კლუბების დაფინანსება (საბაზო დაფინანსება და საპრიზო ფონდი)

#### **4. პროგრამის რეალიზებაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულება**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

#### **5. მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შესრულების ინდიკატორები**

1. ეროვნული ნაკრების მიერ 2017 წლის „ერთა თასის“ მოგება. ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე მიღწეული პოზიციების გამყარება და გაუმჯობესება.

2. ეროვნული პირველობების სპორტული ხარისხის ამაღლება.

3. სარაგბო პროცესში ჩართული სუბიექტების კვალიფიკაციის ამაღლება.

4. რაგბის პოპულარობის ზრდა საქართველოს მასშტაბით.

ზემოთ ჩამოთვლილი შედეგების მიღწევა, ერთის მხრივ, გაზრდის საქართველოს ცნობადობას საერთაშორისო ასპარეზზე, ხოლო მეორეს მხრივ - ხელს შეუწყობს ქვეყანაში რაგბის შემდგომ განვითარებას და სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას, რაც, არსებითად მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის, მათი ფიზიკურად და სულიერად ძლიერ ადამიანებად აზღვრდისა და ზოგადად ქვეყნის შემდგომი სასიკეთო განვითარების ხელშესაწყობად.

**ინდიკატორები:**

- კალენდარული (წლიური) გეგმის შესრულების მაჩვენებელი;
- საერთაშორისო ასპარეზობებზე მოპოვებული შედეგები;
- პროგრამის ფარგლებში სპორტსმენების და ბენეფიციარების ჩართულობის მაჩვენებელი;